ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 183

"20" მაისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - რევაზ სოხაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის 2^1 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ფ" ქვეპუნქტის და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, აგრეთვე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ" ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის, 42-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2025 წლის 24 აპრილის N111 ბრძანების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს - რევაზ სოხაძეს ვადამდე შეუწყდეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება 2025 წლის 25 აპრილიდან.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე